(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

გამოყენების პირობები

DriveWealth LLC (შემდგომში, DriveWealth-ი ან ჩვენ), ნიუ-ჯერსის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, ფლობს და ამუშავებს DriveWealth-ის ვებგვერდს, DriveWealth-ის საინვესტიციო აპლიკაციებს, partners.drivewealth.com, და სხვა ფუნქციონალებს/მახასიათებლებს (properties) (შემდგომში თითოეული და ერთობლივად მოხსენიებულია როგორც „DriveWealth-ის ფუნქციონალი“). DriveWealth-ის ფუნქციონალზე შესვლით/სტუმრობით და მისი გამოყენებით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე „გამოყენების პირობებს“ (შემდგომში, პირობები) და DriveWealth-ის „მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის“ დებულებებსა და პირობებს (შემდგომში, „მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა“). DriveWealth-ის ფუნქციონალების ვიზიტორები მოხსენიებულია როგორც „თქვენ“ ან „ვიზიტორი“ („ვიზიტორები“).

DriveWealth-ი იტოვებს უფლებას, შეცვალოს „პირობები“ ნებისმიერ დროს, როდესაც DriveWealth-ი ჩათვლის შესაფერისად. თუ თქვენ „პირობებში“ ცვლილებების შეტანის შემდეგ გააგრძელებით DriveWealth-ის ფუნქციონალის გამოყენებას, ეს ჩაითვლება თქვენს თანხმობად შეასრულოთ „პირობების“ ახალი ვერსია.

1. DriveWealth-ის პლატფორმის ხელმისაწვდომობა. DriveWealth-ის პლატფორმა მხარდაჭერილია სერვისებით, რომლებსაც უზრუნველყოფს DriveWealth Technologies, LLC. DriveWealth Technologies, LLC-ის მომსახურების დონის თაობაზე სტანდარტული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია რაოდენობრივი სტანდარტები DriveWealth-ის პლატფორმის მუშაობისთვის.

2. ლიცენზია კონტენტის გამოყენებაზე. DriveWealth-ი თქვენ განიჭებთ შეზღუდული პირადი გამოყენების ლიცენზიას DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების კონტენტის წვდომაზე, ჩვენებაზე, ჩამოტვირთვაზე, ფორმატირებისა და ამობეჭდვაზე მხოლოდ და მხოლოდ თქვენი პერსონალური, არაკომერციული გამოყენების მიზნით. არ უნდა მოხდეს DriveWealth-ის საკუთრების და შესაბამისი სერვისების კონტენტის მოდიფიცირება და ხელუხლებლად უნდა შენარჩუნდეს მფლობელის ყველა მითითება. თქვენ არა გაქვთ კონტენტის რეპროდუცირების, გამოქვეყნების, გაყიდვის, იჯარით გაცემის, გავრცელების ანდა კონტენტის კომპილაციის უფლება.

3. მესამე მხარის კონტენტი. ნებისმიერი ინფორმაცია ან კონტენტი, რომელიც DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომი გახადა მესამე მხარემ (შემდგომში, კონტენტის პროვაიდერი მესამე მხარეები) არის მოლოდ და მხოლოდ ასეთი მესამე მხარეების კონტენტი (შემდგომში, მესამე მხარის კონტენტი). DriveWealth-ი არ იძლევა არანაირ გარანტიას და მკაფიოდ უარყოფს ყველა სხვა გარანტიას ასეთი მესამე მხარის კონტენტის

სისწორეზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, სისრულეზე, საიმედოობასა და სარგებლობაზე, ანდა შედეგებზე, რომლებიც მესამე მხარის კონტენტის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ვიზიტორები არიან პასუხისმგებლები მესამე მხარის კონტენტის შეფასებაზე და DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალსა ან დანაკარგზე, რომელიც ვიზიტორებმა განიცადეს მესამე მხარის კონტენტზე დაყრდნობის ან სხვაგვარი გამოყენების შედეგად.

4. სერვისის პროვაიდერი მესამე მხარე. ნებისმიერი სერვისი, რომელიც DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომი გახადა მესამე მხარემ (შემდგომში, სერვისის პროვაიდერი მესამე მხარეები) არის მოლოდ და მხოლოდ ასეთი მესამე მხარეების სერვისები (შემდგომში, მესამე მხარის სერვისები). DriveWealth-ი არ იძლევა არანაირ გარანტიას და მკაფიოდ უარყოფს ყველა სხვა გარანტიას ასეთი მესამე მხარის სერვისების სისწორეზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, სისრულეზე, საიმედოობასა და სარგებლობაზე, ანდა შედეგებზე, რომლებიც მესამე მხარის სერვისების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ვიზიტორები არიან პასუხისმგებლები მესამე მხარის სერვისების შეფასებაზე და DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალსა ან დანაკარგზე, რომელიც ვიზიტორებმა განიცადეს მესამე მხარეზე დაყრდნობის ან სხვაგვარი გამოყენების შედეგად.

5. DriveWealth-ის ანგარიშთან წვდომა მესამე მხარის ტექნოლოგიის მეშვეობით. თქვენ შეიძლება იყენებდეთ მესამე მხარის მიერ მოწოდებულ ტექნოლოგიას (შემდგომში, ტექნოლოგიის პროვაიდერი მესამე მხარეები) DriveWealth-ის ანგარიშთან (ანგარიშებთან) წვდომისათვის. ასეთი ტექნოლოგია (შემდგომში, მესამე მხარის ტექნოლოგია) არის მხოლოდ და მხოლოდ ამ ტექნოლოგიის პროვაიდერი მესამე მხარის ტექნოლოგია. DriveWealth-ი არ იძლევა არანაირ გარანტიას და მკაფიოდ უარყოფს ყველა სხვა გარანტიას ასეთი მესამე მხარის ტექნოლოგიის სისწორეზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, სისრულეზე, საიმედოობასა და სარგებლობაზე, ანდა შედეგებზე, რომლებიც მესამე მხარის ტექნოლოგიის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს. ვიზიტორები არიან პასუხისმგებლები მესამე მხარის ტექნოლოგიის შეფასებაზე და DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალსა ან დანაკარგზე, რომელიც ვიზიტორებმა განიცადეს მესამე მხარის ტექნოლოგიაზე დაყრდნობის ან სხვაგვარი გამოყენების შედეგად.

6. ვირუსები. DriveWealth-ი არ იძლევა გარანტიას, რომ ფაილები, რომლებიც DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებზეა ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომი, იქნება ინფექციის, ვირუსის ან სხვაგვარად პოტენციურად დამაზიანებელი კოდისგან თავისუფალი. ვიზიტორები არიან პასუხისმგებლები პროცედურების გამოყენებაზე, რათა დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნები შეტანილი და გაცემული მონაცემების უსაფრთხოებისა და სიზუსტის უზრუნველყოფაზე.

7. ინტერნეტში ბავშვთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობა. DriveWealth-ის ფუნქციონალი და შესაბამისი სერვისები არ არის გამიზნული 18 წლამდე ასაკის პირების მიერ გამოსაყენებლად. თქვენ აცხადებთ, რომ ხართ მინიმუმ 18 წლის. თუმცა, თუ DriveWealth-ი მიიღებს საჩივარს, რომ DriveWealth-ის ფუნქციონალისა და შესაბამისი

სერვისების რომელიმე მომხმარებელი 13 წლამდე ასაკისაა, DriveWealth-ი შეასრულებს „ინტერნეტში ბავშვთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 1998 წლის კანონის ნებისმიერ შესაბამის დებულებას.

8. კონტენტის მიზნობრივი გამოყენება. DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების გარკვეული კონტენტი გამიზნულია მხოლოდ იმისთვის, რომ დაგეხმაროთ ფინანსური განათლების მიღებაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეს კონტენტი ეხება. კონტენტის ფარგლები ფართოა და არ ითვალისწინებს თქვენს პერსონალურ ფინანსურ სიტუაციას და შესაძლოა არც იყოს მისთვის შესაფერისი. DriveWealth-ი არანაირ განცხადებას არ აკეთებს, რომ კონტენტი შესაფერისი ან რელევანტურია ყველა იურისდიქციაში გამოსაყენებლად. ვიზიტორი თავად არის პასუხისმგებელი ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

9. აკრძალული ქცევა. თქვენ არ უნდა წარუდგინოთ DriveWealth-ის ფუნქციონალს და შესაბამის სერვისებს:

- კონტენტი, რომელიც არღვევს რომელიმე ფედერალური, შტატის ან სხვა იურისდიქციის კანონს ან ნორმატიულ აქტს ანდა არის უზუსტო ან შეცდომაში შემყვანი;
- კონტენტი, რომელიც არღვევს ნებისმიერი მესამე მხარის საავტორო უფლებას ანდა სხვა მესაკუთრულ უფლებას;
- კონტენტი, რომელიც არის ბიზნესისთვის ცილისმწამებლური ან არის უკანონოდ დამაშინებელი, რეპუტაციის შემლახავი, ან სხვაგვარად დამაზიანებელი DriveWealth-ის ან მესამე მხარისთვის;
- კონტენტი, რომელიც შეიცავს რაიმე ვირუსს, ჭიას ან სხვა პოტენციურად დამაზიანებელ კოდს ან კომპიუტერულ პროგრამებს;
- კონტენტი, რომელიც შეიცავს ან თავად წარმოადგენს ჯაჭვურ წერილებს, ფოსტის მასობრივ დაგზავნას, პოლიტიკურ კამპანიას ან ნებისმიერი ფორმის „სპამს“.

10. განცხადებები და გარანტიები. <u>DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების კონტენტი მოწოდებულია „როგორც არის“ და „როგორც ხელმისაწვდომია“ საფუძველზე. ჩვენ არ ვიძლევით რაიმე სხვა გარანტიას და ცალსახად უარვყოფთ ყველა სხვა გარანტიას, გამოხატულს თუ ნაგულისხმევს, DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებთან დაკავშირებით, მათ შორის ნაგულისხმევ გარანტიას კომერციული მომგებიანობის და კონკრეტული მიზნით გამოყენების ვარგისიანობის შესახებ; ასევე, ნებისმიერ გარანტიას DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების გამოყენებასა ან DriveWealth-ის ფუქნციონალის და შესაბამისი სერვისების გამოყენების შედეგებთან დაკავშირებით მათი სისწორის, ხარისხის, სიზუსტის, სისრულის, სანდოობის, შესრულების, დროულობის, უწყვეტი ხელმისაწვდომობის ან სხვა თვალსაზრისით.</u>

11. პასუხისმგებლობის შეზღუდვა. თქვენ აღიარებთ, რომ არც ჩვენ და არც რომელიმე ჩვენი წევრი, დირექტორი, ოფიცერი, დაკავშირებული პირი, თანამშრომელი, აგენტი ან პროვაიდერი არ იქნება თქვენსა ან მესამე მხარეების წინაშე პასუხისმგებელი, პირობითად ან სხვაგვარად, DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების რაიმე სისწორეზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, სისრულეზე, სანდოობაზე, შესრულებაზე, დროულობაზე, ფასწარმოქმნასა თუ უწყვეტ ხელმისაწვდომობაზე; ან DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების დაგვიანებასა თუ გამოტოვებაზე; ანდა დაკავშირების ან კომუნიკაციის სერვისის რაიმე წარუმატებლობაზე, უზრუნველყოს თქვენი წვდომა DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებზე; ანდა თქვენი წვდომის რაიმე შეფერხებასა ან წყვეტაზე ანდა ხარვეზიან კომუნიკაციაზე DriveWealth-სა და თქვენს შორის. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი რაიმე საგანგებო, ირიბ, შემთხვევით ან თანმდევ ზარალზე, რომელიც შესაძლოა მოგადგეთ ან განიცადოთ ამ ხელშეკრულების დადების გამო ანდა DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებზე დაყრდნობის გამო, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვიცოდით ან გვაცნობეს ასეთი ზარალის შესაძლო წარმოქმნის შესახებ. ჩვენ არა გვაქვს პასუხისმგებლობა, გაცნობოთ თქვენ რაიმე სირთულის შესახებ, რომელსაც ჩვენ ან სხვა მესამე მხარე განიცდის DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით, ანდა მივიღოთ ზომები ასეთ სირთულეებთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე არ ვიქნებით ვალდებული, გადავამოწმოთ, შევასწოროთ, შევავსოთ ან განვაახლოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებზე ან გამომდინარეობს მათგან. თქვენ დამოუკიდებლად მიიღებთ გადაწყვეტილებას DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების წვდომასა ან გამოყენებაზე, ანდა ტრანზაქციის შესრულებაზე და თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ DriveWealth-ის ფუნქციონალი და შესაბამისი სერვისები არ არის და არ იქნება გამოყენებული თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით რაიმე თქვენი საინვესტიციო გადაწყვეტილების უმთავრეს ბაზად. თქვენ თანახმა ხართ, რომ არც ჩვენ და არც რომელიმე ჩვენი წევრი, დირექტორი, ოფიცერი, დაკავშირებული პირი, თანამშრომელი, აგენტი ან პროვაიდერი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე პირდაპირ ან ირიბ დანაკარგზე, ზარალზე, რაიმე სახის ხარჯსა თუ დანახარჯზე, განურჩევლად მისი მიზეზისა, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს ან რამენაირად უკავშირდებოდეს თქვეს მიერ DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების გამოყენებას, მათ შორის, შეუზღუდავად: (I) რაიმე ხარვეზს DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების მიწოდებასა თუ ოპერირებაში, განურჩევლად ამის მიზეზისა; (II) DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების, სრულად ან ნაწილობრივ, გამოყენების შეჩერებას ან შეწყვეტას ან გამოყენების შეუძლებლობას, ანდა რაიმე უზუსტობას ან გამოტოვებას რაიმე მოწოდებულ ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციაში, განურჩევლად ასეთი შეჩერების, შეწყვეტის, გამოუყენებლობის, უზუსტობის ან გამოტოვების მიზეზისა; (III) DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამისი სერვისების ოპერირებაში რაიმე ხარვეზს ან შეფერხებას; (IV) რაიმე წარუმატებლობას ან დაგვიანებას, რომელიც თქვენ განიცადეთ, ან სავარაუდოდ განიცადეთ, მიუხედავად მიზეზისა; (V) ჩვენ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტას ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად; (VI) რაიმე უზუსტო საბაზრო მონაცემს, ახალ ამბავს, კოტირებას ანდა ანალიტიკურ ან ტექნიკურ საბაზრო მონაცემებს, რომლებიც მიღებულია DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი

სერვისების მეშვეობით; ანდა (VII) ნებისმიერ სხვა მიზეზს, რომელიც უკავშირდება DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდებას, შესრულებას, მართვას, გამოყენებას, გამოყენების შეუძლებლობას. ზემოაღნიშნული მოქმედებს მიუხედავად იმისა, წარმოიშვა თუ არა საჩივარი კონტრაქტის, დელიქტის, დაუდევრობის, მკაცრი ვალდებულების ან სხვა საფუძვლით.

12. აღიარება და თანხმობა. თქვენ ცალსახად აღიარებთ და ეთანხმებით, რომ ჩვენ მიერ უზრუნველყოფილი DriveWealth-ის ფუნქციონალი და შესაბამისი სერვისები არის „როგორც არის" საფუძველზე და რომ თქვენ იყენებთ ასეთ DriveWealth-ის ფუნქციონალს და შესაბამის სერვისებს მხოლოდ თქვენი რისკით. არც ჩვენ და არცერთი ჩვენი პროვაიდერი მესამე მხარეს არ იქნება პასუხისმგებელი DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფაზე ანდა DriveWealth-ის ფუნქციონალსა და შესაბამის სერვისებთან დაკავშირებით რაიმე შესწორების, განახლების ან განცხადებების მოწოდებაზე.

13. პასუხისმგებლობისგან და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნისგან განთავისუფლება. თქვენ თანახმა ხართ, ჩვენ, ჩვენი წევრები, დირექტორები, ოფიცრები, დაკავშირებული პირები, თანამშრომლები და აგენტები გაათავისუფლოთ პასუხისმგებლობისგან და კომპენსაციის გადახდისგან ნებისმიერ იმ მოთხოვნასა თუ დანაკარგთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება თქვენ ან თქვენი აგენტის მიერ DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების გამოყენებას, მათ შორის DriveWealth-ის ფუნქციონალის და შესაბამისი სერვისების უსაფრთხოების ნებისმიერ დარღვევას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად თქვენი ან თქვენი აგენტის მიზეზით მოხდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დანაკარგი გამოწვეულია ჩვენი უხეში დაუდევრობის ან განზრახ უკანონო ქმედების შედეგად.

14. სხვადასხვა. წინამდებარე პირობები წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას ამ ხელშეკრულების საკითხთან დაკავშირებით. არ უნდა მოხდეს არც ერთი მიმდინარე ან წინა წერილობითი თუ ზეპირი შეთანხმების იმგვარად ინტერპრეტირება, რაც მოახდენს წინამდებარე პირობების შეცვლას, გაუქმებას ან მოდიფიკაციას.

წინამდებარე პირობების ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ნიუ-ჯერსის შტატის კანონმდებლობის მიხედვით, მისი სამართლის კოლიზიის პრინციპების გაუთვალისწინებლად. ნებისმიერი და ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება ან უკავშირდება ამ პირობებს უნდა გადაწყდეს მხოლოდ კერძო, კონფიდენციალური არბიტრაჟის გზით Judicial Arbitration and Mediation Services, Inc.-ში, რომელ არბიტრაჟსაც წარმართავს მხოლოდ ერთი არბიტრი და ჩატარდება ნიუ-ჯერსის შტატში, მორისის ოლქში; და თითოეული მხარე იძლევა თანხმობას პირად იურისდიქციასა და პროცესის მომსახურებაზე ასეთ ადგილას ნებისმიერი ასეთი არბიტრაჟის მიზნებისთვის. თუ გაქვთ კითხვები, შენიშვნები ან გამოხმაურება ამ „გამოყენების პირობების" შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ DriveWealth-ს ელფოსტის შემდეგ მისამართზე: support@DriveWealth.com.